ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 12 სექტემბრის სხდომის
ოქმი N 12

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 12 სექტემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.
სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.
ფაკულტეტის საბჭოს 39 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესახებ
2. სადისერტაციო საბჭოების დებულებების შესახებ
3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა აღნიშნა, რომ დოქტორანტურის დებულება წინასწარ დაიგზავნა დეპარტამენტებში განსახილველად. შემდეგ მან სიტყვა გადასცა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყოფილ მდივანს, ასოცირებულ პროფესორ ა.თევზაძეს. მან საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შემოვიდა ბევრი შენიშვნა, განსაკუთრებით ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და მათემატიკის დეპარტამენტებიდან.

შემდეგ გაიმართა კამათი დოქტორანტურაში მისაღებად გასაუბრების ნაცვლად გამოცდის დანიშვნის მიზანშეწონილობაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა თ.ლეჟავამ, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თავმჯდომარემ, პროფესორმა მანანა ხაჩიძემ, რომელიც საბჭოს სხდომას ესწრებოდა. მან აღნიშნა, რომ თუ რომელიმე პროგრამას სურს მისაღები გამოცდის დანიშვნა - შეუძლია დანიშნოს. თუმცა, კანონის მიხედვით ეს სავალდებულო არ არის. მ.ხაჩიძემ ასევე აღნიშნა, რომ სასურველია ფაკულტეტმა გააკეთოს განაცხადი, რომ თსუ-მ თავს არ მოგვახვიოს დოქტორანტურაში ისეთი საგნების სწავლება, როგორიცაა აკადემიური წერა, სწავლების მეთოდები და ა.შ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქ-მა მაგდა ალანიამ უპასუხა, რომ ეს საკითხი შარშანაც იყო წამოჭრილი, თუმცა შედეგი არ მოჰყოლია. პროფესორმა ნ.შათაშვილმა საბჭოს წევრებს აცნობა, რომ მზადდება ცვლილებები, რომ სპეციალიზაციის კურსების სწავლება სტანდარტში შევიდეს. ამდენად, ზემოთქმული საკითხის წამოჭრას უკვე აზრი აქვს. საჭირო იქნება სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებს ამ საკითხის მოგვარების მიზნით დაევალოთ სპეციალიზაციის სავალდებულო საგნების ნუსხის შემუშავება. როგორც ქ-მა მ.ალანიამ აღნიშნა, ასეთი საგანი დაახლოებით 50 იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთა აზრის გაგების მიზნით ჩაატარა რეიტინგული გამოკითხვა საკითხზე - ვინ არის მომხრე, რომ დოქტორანტურაში იყოს ერთიანი მისაღები გამოცდა. მომხრე იყო 12 კაცი, წინააღმდეგი - 10. მან აქვე აღნიშნა, ცალკეულ სადოქტორო პროგრამაში შეეძლებათ ჩაწერონ ან არ ჩაწერონ მისაღები გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა.

პროფესორმა დ.ძიძიგურმა წამოჭრა საკითხი, რომ როცა ხელმძღვანელი გარედან, რომელიმე ინსტიტუტიდანაა მოწვეული, საჭიროა მისი შრომის ანაზღაურება. ამასთან დაკავშირებით პროფესორმა შ.სამსონიამ აღნიშნა, რომ თუმცა ინსტიტუტებს სადისერტაციო საბჭოები არა აქვთ, ეს არ ნიშნავს, რომ იქ ახალგაზრდა მეცნიერი არ გაიზარდოს. თსუ-ს ამაზე დაფინანსება გამოყოფილი არა აქვს, თუმცა საკითხი შეიძლება ინსტიტუტების დაფინანსებიდან მოგვარდეს. პროფესორმა გ.ჯაიანმა აღნიშნა, რომ აგვისტოში შედგა განათლების ახალი მინისტრის შეხვედრა თსუ-ს ინსტიტუტებთან. მინისტრმა მათ დაპირება მისცა, რომ მთავრობისგან მოითხოვს დამატებით ბიუჯეტს, რათა ინსტიტუტებში შესაძლებელი გახდეს სადოქტორო პროგრამების ამუშავება.

პროფესორმა დ.ძიძიგურმა მოითხოვა, რომ ფაკულტეტის საბჭომ შუამდგომლობა აღძრას და მოითხოვოს ამ საკითხის დაფინანსება.

საკითხზე აზრი გამოთქვა თსუ აკადემიური საბჭოს წევრმა, მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ო.ფურთუხიამ, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს სხდომას ესწრებოდა. მან აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამების დასაფინანსებლად ორი გზაა. პირველი - დავაფინანსოთ საკუთარი ხელფასის მოკლების ხარჯზე, და მეორე - დოქტორანტებს გადავახდევინოთ სწავლის სრული საფასური, როგორც ეს სხვა ფაკულტეტებზე ხდება.

სხდომის თავმჯდომარემ რ.ხომერიკმა განაცხადა, რომ შეიმუშავებს შესაბამისი მიმართვის ტექსტს და შეათანხმებს საბჭოს წევრებთან.

შემდეგ ა.თევზაძემ ისაუბრა იმ ცვლილებების შესახებ, რაც განხილვის შემდეგ შეიტანეს დოქტორანტურის დებულებაში. კერძოდ, დოქტორანტურის დებულებიდან ხარისხის სამსახურის თხოვნით ამოღებულ იქნა შემდეგი პუნქტები:

7.1.1. სასწავლო კომპონენტი – 40-60 ECTS კრედიტი;
7.1.2. კვლევითი კომპონენტი – 120-140 ECTS კრედიტი.

ხოლო ცვლილებები შევიდა შემდეგ მუხლებში (იხ. დანართი 1):

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამა;
მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი;
მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი;
მუხლი 7. დოქტორანტურაში სწავლა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ე.ნადარაიამ, თ.თადუმაძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ო.ფურთუხიამ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დოქტორანტურის დებულების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტურის დებულება (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – სადისერტაციო საბჭოების დებულებების შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა სიტყვა გადასცა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყოფილ მდივანს, ასოცირებულ პროფესორ ა. თევზაძეს. მან აღნიშნა, რომ ჯერჯერობით შემუშავებულია 8 სადისერტაციო საბჭოების დებულება.

მუშაობა მიმდინარეობდა დეპარტამენტებში. მუშავდება მეცხრე, ინტერდისციპლინური (ბიოლოგია, გეოგრაფია) საბჭოს დებულებაც. ანალოგიურად შევა ცვლილებები ინგლისურენოვანი პროგრამის დებულებაზე, როცა შესაბამისი პროგრამა იქნება.

შემდეგ ა.თევზაძემ საბჭოს წევრებთან მოკლედ ისაუბრა დეპარტამენტების მიერ დებულებებში შეტანილ ცვლილებებზე. სადისერტაციო საბჭოში შესაძლებელია სპეციალისტების მოწვევა, მაგრამ წევრების უმრავლესობა თსუ-დან უნდა იყოს. ამ საკითხთან დაკავშირებით მან ცალკე გამოყო მცირერიცხოვანი დეპარტამენტები (პროფესორთა რაოდენობა <10). მაგალითად მოიყვანა ელექტრონიკის დეპარტამენტი, რომელიც საკითხის გადასაჭრელად საბჭოში იწვევს დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორებს (ამის უფლება აქვთ).

მათემატიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ დისერტანტის მიერ წარმოდგენილ პუბლიკაციებს ინტერნეტ მისამართიც ჰქონდეს მითითებული, რაზეც ა. თევზაძემ უპასუხა, რომ უფრო უპრიანი იქნება მოთხოვნილ იქნეს ჟურნალის ISSN კოდის მითითება და სასურველია, ეს მოთხოვნა ყველა დებულებაში შევიდეს.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დებულებების სხვა მუხლებზეც. წამოიჭრა სადისერტაციო ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების საკითხი. ადრე ეს ნებადართული იყო, მაგრამ მხოლოდ 3-ჯერ იქნა გამოყენებული, როცა დოქტორანტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი უცხოელი იყო. ისაუბრეს შემფასებლების შესახებ - საჭიროა დადებითი შეფასება წარმოადგინოს მათი რაოდენობის არაუმეტეს ნახევარმა. პრობლემაა, რომ კანონში გაწერილი არ არის ვადები დაცვის პროცედურებისათვის, რის გამოც დაცვის მომზადების პროცესი დროში იწელება. ახალ დებულებებში გაქრა „გარდამავალის" სტატუსიც.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა დ.ძიძიგურმა წინადადება წამიაყენა, რომ სავალდებულო იყოს საკვალიფიკაციო ნაშრომის ქართულ ენაზე წარმოდგენა. პროფესორმა ო.მუკბანიანმა განაცხადა, რომ დაცვის კომისიას დაცვამდე 2 კვირით ადრე მაინც უნდა ჰქონდეს ინფორმაცია დისერტაციის ძირითადი შედეგებისა და სიახლეების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა სადისერტაციო საბჭოების დებულებებს (იხ. დანართები 2.1-2.8). დებულებები ძირითადად ერთნაირია გარდა:

- კომპუტერული მეცნიერებების პროგრამას ბოლოში დამატებული აქვს გარდამავალი დებულება;
- მათემატიკის დეპარტამენტის დებულებას დამატებული აქვს კოლეგია;
- ფიზიკის დეპარტამენტი ითხოვს, რომ დისერტანტმა დაცვამდე ორი იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაცია მაინც წარმოადგინოს.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიოლოგიის, ქიმიის, კომპიუტერულ მეცნიერებათა, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, მატემატიკის და ფიზიკის სადისერტაციო საბჭოების დებულებები (იხ. დანართები 2.1-2.8).

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი. მიმდინარე საკითხებში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრებს გააცნო: ა) მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი, და ბ) ცვლილებები სამაგისტრო პროგრამის "ფუნდამენტური ფიზიკა" პირველი

სემესტრის საერთო სავალდებულო საგნის "არაწრფივი მოვლენები I" სილაბუსში. კერძოდ, ცვლილება შევიდა სასწავლო თემების ჩამონათვალში და, შესაბამისად, მათ საკითხებში, ასევე სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის ნუსხაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის და საგნის "არაწრფივი მოვლენები I" განახლებული სილაბუსის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: ორივე საკითხი დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ა) დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 3.1);
ბ) დამტკიცდეს ცვლილებები სამაგისტრო პროგრამის "ფუნდამენტური ფიზიკა" პირველი სემესტრის საერთო სავალდებულო საგნის "არაწრფივი მოვლენები I" სილაბუსში (იხ. დანართი 3.2).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი